MES 2 22 0000329568

30/03/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

მაყვალა ანთაძე - სკოლის დირექტორი
დეკანოზი მირიან (ნოდარ) სამხარაძე - სკოლის ხელმძღვანელი
მარინა გოგოლაძე - სკოლის ხარისხის სამსახურის მენეჯერი

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ლალი ხვედელიძე - სკოლის დირექტორი
მზევინარ ძირკვაძე - სკოლის წარმომადგენელი

სს ფინური საერთაშორისო სკოლა

თეა პაიჭაძე - სკოლის დირექტორი
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია

მაკა ტუკვაძე
ნინო მუმლაძე

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

მაკა ტუკვაძე
მაკა ჭიაბერაშვილი

სს ფინური საერთაშორისო სკოლა

ლელა ჯაში
ნინო გვარამაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 17 მარტს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სს ფინური საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და ნინო მუმლაძემ. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა როგორც ადგილზე, ასევე, დისტანციურ ფორმატში. მისი თქმით,

სკოლა გადიოდა რეავტორიზაციის პროცესს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა დაწესებულების ტოლერანტულ გარემოზე. მან აღნიშნა, რომ სკოლაში იკვეთებოდა პატივისცემისა და კულტურული პლურალიზმის ელემენტები. კერძოდ, ექპერტის თქმით, სკოლაში სწავლობდნენ როგორც მართლმადიდებელი სარწმუნეობის მქონე მოსწავლეები, ასევე, მუსლიმი თემის წარმომადგენლები. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ასევე, ისაუბრა სკოლის ძლიერ მხარეებზე, კერძოდ, გამოყო შიდა სასკოლო პროექტები და ღონისძიებები, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეები და რომლის ამსახველი მასალაც იყო ვიზუალურად წარმოდგენილი დაწესებულებაში. აგრეთვე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურაზე, რომელიც, მისი თქმით, იყო მრავალფეროვანი და სრულად გამართული. ექსპერტი შეეხო უსაფრთხოების სისტემასაც. მან აღნიშნა, რომ სკოლაში გამოყოფილი იყო დაცვის თანამშრომლებისთვის სივრცე და დამონტაჟებული იყო ვიდეო კამერები.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა სკოლის გასაუმჯობესებელ მხარეებზეც, სადაც გამოყო შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნების საკითხი. მან აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და შესაბამისად მასწავლებლები ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს. თუმცა, მისი თქმით, შემაჯამებელი სამუშაოები იყო მხოლოდ ტესტური ტიპის, რასაც ექსპერტი მიიჩნევდა გასაუმჯობესებელ მხარედ. ექსპერტი, ასევე, ინფრასტრუქტურის ნაწილში შეეხო სკოლის შესასვლელ პანდუსსაც. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო დამონტაჟებული პანდუსი, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად სკოლამ დაამონტაჟა პანდუსი. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლამ აღნიშნული ხარვეზი გამოასწორა. მან დაამატა, რომ აღნიშნულის დამამტკიცებელი ვიზუალური მასალა ცენტრში იყო წარმოდგენილი. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ასევე, ისაუბრა გამართულ ბიბლიოთეკასა და ადაპტირებულ სველ წერტილებთან დაკავშირებით.
ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლას ჰყავდა 74 თანამშრომელი, ხოლო მათგან 44 იყო მასწავლებელი, რომელთაგან 36-ს ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ერთს ჰქონდა მაძიებელი მასწავლებლის სტატუსი, ერთს ჰქონდა წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო 6 მასწავლებელს არ ჰქონდა სტატუსი. ექსპერტმა, აგრეთვე, ისაუბრა სკოლის მხრიდან მასწავლებლების წახალისების ხერხებზე და აღნიშნა, რომ სკოლა მიმართავდა პრემიის გაცემის მეთოდს და ასევე, 5 მასწავლებელს უფინანსებდა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ღირებულების 50%-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, შემაჯამებელ დავალებებთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა რომელიმე საგნის მასწავლებელს არჩეული კომპლექსური დავალება შემაჯამებელ დავალებად. რაზეც ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ უპასუხა, რომ სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ჰქონდა წარმოდგენილი შემაჯამებელ დავალებად თხზულება. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა სამოქალაქო განათლება, სადაც მოსწავლეებს პრობლემის გადაჭრაზე ჰქონდათ ნამუშევარი. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა მიმართავდა მრავალფეროვან აქტივობებსა და პროექტებს, თუმცა მათ არ ახორციელებდა როგორც შემაჯამებელ სამუშაოებს.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ სკოლის მისიაში ხაზგასმული იყო მუსიკალური განათლება, თუმცა სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მუსიკის საათები შემცირებული იყო. ზვიად გოგუაძემ იკითხა, ხომ არ იყო აღნიშნული ორი გარემოება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში. რაზეც ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ უპასუხა, რომ სკოლა აღნიშნულ საკითხზე აქტიურად მუშაობდა არაფორმალური განათლების მიმართულებით და მისი თქმით, მუსიკის საათების შემცირება სწორედ ამიტომ მოხდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს ექვს სტატუსის არმქონე მასწავლებელთან დაკავშირებით. რაზეც ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ უპასუხა, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს დიპლომით უდასტურდებოდათ კონკრეტული საგნების სწავლების გამოცდილება და უფლება, თუმცა არ ჰქონდათ ჩაბარებული მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი გამოცდა და შესაბამისად, არ ჰქონდათ მინიჭებული სტატუსი.
აღნიშნულ საკითხზე სკოლის დირექტორმა, მაყვალა ანთაძემ უპასუხა, რომ სტატუსის არმქონე მასწავლებლებთან გაფორმებული იყო დროებითი ხელშეკრულებები სასწავლო წლის დასრულებამდე და მათ ამ დროში უნდა აემაღლებინათ სტატუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, სკოლა შეწყვეტდა მათთან თანამშრომლობას და ისინი ჩანაცვლდებოდნენ კონკურსის წესით აყვანილი, სტატუსის მქონე მასწავლებლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების ხარისხის სამსახურის მენეჯერის, მარინა გოგოლაძის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 05 აპრილის N7 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 11 აპრილიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 11 აპრილიდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 600 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიას (ს.კ: 200273088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 11 აპრილი.

2. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და მაკა ჭიაბერაშვილმა. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 24 და 25 იანვარს, სრულად დისტანციურ ფორმატში, ვიზიტის დროს მწვავე პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სრულად ჰქონდა გააზრებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მნიშვნელობა და მისი თქმით, სკოლაში არ გამოკვეთილა ხარვეზი. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნათლად ასახავდა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს, რაც გამოიკვეთა გასაუბრების დროსაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლა ხორციელდებოდა მხოლოდ საშუალო საფეხურზე. მან აქვე დაამატა, რომ ზოგადი განათლების საფეხურის სწავლებასთან ერთად ხდებოდა პროფესიული პროგრამების შეთავაზებაც. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის სოციალიზაციის პროგრამის შესახებაც. რაც გულისხმობდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას სკოლის ახალი მოსწავლეების მიმართ.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ ისაუბრა სკოლის პროგრამულ ნაწილზე და აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით თემატური გეგმები და მრავალფეროვანი შემაჯამებელი სამუშაოები. მან, ასევე, გამოყო სკოლის მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია და დაამატა, რომ სკოლის მასწავლებლებს გავლილი ჰქონდათ საგნობრივი ტრენინგები. ექსპერტმა, აგრეთვე, ისაუბრა სკოლაში არსებულ არაფორმალური განათლების არსებობის შესახებაც.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ სკოლას 10 წლიანი ქირავნობის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტთან. მან აღნიშნა, რომ სკოლაში დაცული იყო უსაფრთხოების მექანიზმები. ასევე, მან განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაობი, რომლის დასრულების შემდეგაც სკოლას ექნებოდა ლიფტი შშმ პირებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა საგანგებო სიტუაციების სიმულაციური სწავლებისთვის გამოყოფილ შენობასთან დაკავშირებით. მან, ასევე, იკითხა იყვნენ თუ არა აღნიშნული დაწესებულების მოსწავლეები ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მომავალი სტუდენტები.

აღნიშნულ საკითხს უპასუხა სკოლის დირექტორმა, ლალი ხვედელიძემ. მან აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები ნამდვილად იყვნენ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მომავალი სტუდენტები და დაწესებულება ამზადებდა მოსწავლეებს აღნიშნულ უნივერსიტეტში ბაკალავრის საფეხურზე მოსახვედრად. რაც შეეხებოდა საგანგებო სიტუაციების სიმულაციურ სწავლებას, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ კურსის მიზანი იყო ზღვაზე უსაფრთხოების სწავლება. ლალი ხვედელიძის თქმით, აღნიშნულ კურსში შედიოდა პირველადი დახმარების აღმოჩენა, ხანძრისგან თავდაცვა და ბრძოლა და ბორტგარეთ მყოფი ადამიანის გადარჩენა.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, გასცემდნენ თუ არა დამატებით რაიმე სახის დამადასტურებელ ცნობას ზოგადი განათლების საფეხურის დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატთან) ერთად. რაზეც სკოლის დირექტორმა, ლალი ხვედელიძემ უპასუხა, რომ ისინი ატესტატთან ერთად გასცემდნენ პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

სკოლის დირექტორის, ლალი ხვედელიძის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის N12 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 27 აპრილიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 27 აპრილიდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმს(ს.კ: 248417896) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 27 აპრილი.

3. სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნინო გვარამაძემ. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეცვლილი ჰქონდა მისამართი და ახალ მისამართზე ახორციელებდა საგანმანათლებლო პროცესს. ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურზე და აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა სტანდარტით მოთხოვნილ პირობებს. კერძოდ, მან განმარტა, რომ სკოლაში იყო გამართული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სათანადოდ აღჭურვილი საკლასო ოთახები, კომპიუტერებით უზრუნველყოფილი სივრცეები და უსაფრთხოების მექანიზმები. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლას საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსგან ჰქონდა მინიჭებული თანხმობა, რომლის საფუძველზეც ის განსხვავებული სახელმძღვანელოებით ახორციელებდა სასწავლო პროცესს. მან დაამატა, რომ ბიბლიოთეკაში სწორედ აღნიშნული სახელმძღვანელოები ინახებოდა.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მიმართავდა ჰიბრიდული სწავლების ფორმატს, რისთვისაც ის იყენებდა Microsoft Teams - ის პლატფორმას. ექსპერტმა, აგრეთვე ისაუბრა სკოლის სპორტულ მოედანთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ღია სპორტული მოედნის მშენებლობა. ხოლო, სკოლას ჰქონდა დახურული სპორტული დარბაზი, რომელსაც იყენებდა სხვადასხვა სპორტული აქტივობისთვის და ფიტნეს პროგრამებისთვის.

ექსპერტმა, ნინო გვარამაძემ დაამატა, რომ სკოლის მასწავლებლებს უდასტურდებოდათ კვალიფიკაცია შესაბამის საგნებში. მან ისაუბრა პედაგოგების შერჩევისა და გასაუბრების ეტაპების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა საკუთარი სტრატეგია აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, გასაუბრების შემდეგ უტარებდნენ ტრენინგებს და მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდებოდა მასწავლებლის აყვანის პროცედურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება თანამშრომლობდა ფინეთის მხარდამჭერ ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფდა არსებული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

ექსპერტმა, ნინო გვარამაძემ, ასევე, ისაუბრა დაწესებულებაში არსებული სასკოლო კულტურის შესახებ. მან განმარტა, რომ სკოლაში აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო. ექსპერტის თქმით, მოსწავლეები და მშობლები იყვნენ სკოლის ფუნქციონირებაში თანამონაწილეები და დაწესებულება ითვალისწინებდა, როგორც მოსწავლეების, ასევე, მშობლების რჩევებსა და რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენლებს, თუ რაში გამოიხატებოდა სკოლის მიდგომა ჰოლისტური განათლების მიმართულებით და რა შედეგები ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნულთან დაკავშირებით. რაზეც ექსპერტმა, ლელა ჯაშმა უპასუხა, რომ სკოლა დიდი ხანი არ იყო, რაც ფუნქციონირებდა. მისი თქმით, ის სრულად ფინური განათლების მოდელის მიხედვით ახორციელებდა სწავლებას. ექსპერტმა დაამატა, რომ ჰოლისტური მიდგომების მიზნებსა და შედეგებზე პასუხს იძლეოდა მასწავლებელთა კურიკულუმები და მშობლებთან და მასწავლებელებთან გასაუბრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, პერტე ბაბილუამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს ორი მასწავლებლის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ წარმოდგენილი მხოლოდ IB უცხოენოვანი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატები, რომლის საფუძველზეც ჰყავდათ აღნიშნული მასწავლებლები დასაქმებული. სკოლის წარმომადგენელმა, თეა პაიჭაძემ უპასუხა, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს ჰქონდათ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, მოცემულ ეტაპზე ვერ ახერხებდნენ დიპლომის აღიარების პროცედურის გავლას დიპლომების მატერიალურად საქართველოში არარსებობის გამო. სკოლის წარმომადგენელმა, ასევე, დაამატა, რომ დაწესებულება მასწავლებლებს გადამზადების მიზნით სთავაზობდა სპეციალურ ტრენინგებს და შემდეგ ხდებოდა მათი სამსახურში აყვანა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს ფინური საერთაშორისო სკოლისავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სს ფინური საერთაშორისო სკოლის (ს/კ.: 404557234) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. სს ფინურ საერთაშორისო სკოლაში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და ნინო გვარამაძემ. ექსპერტ, ლელა ჯაშის განცხადებით, სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 10 თებერვლის N01 გადაწყვეტილებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 60 მოსწავლით. მოცემულ ეტაპზე დაწესებულების სურვილი იყო 120 მოსწავლემდე გაეზარდა არსებული კვოტა. წარმოდგენილი რესურსების შეფასების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ სკოლას შეეძლო მოთხოვნილი რაოდენობის მოსწავლეები უზრუნველყო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურებით და აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებთან მოთხოვნილ პირობებს მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის პირობებშიც.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 120 მოსწავლისთვის საჭირო აუცილებელი ინვენტარი. ექსპერტის თქმით, სკოლა დროებით სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცემდა მოსწავლეებს საჭირო სასწავლო რესურსს. ექსპერტმა, ასევე, დასძინა, რომ სკოლაში არ ირიცხებოდა შშმ მოსწავლე, თუმცა შენობა სრულად იყო ადაპტირებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესაძლებელი იქნებოდა სკოლის საათობრივი ბადით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობის შემთხვევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სკოლისთვის მოსწავლეთა ადილების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღესვე, 17 მარტს, რათა სკოლას შესაძლებლობა ჰქონოდა ექსტერნატის წესით მოსწავლეები მიეღო 2022 წლის 25 მარტამდე.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სს ფინური საერთაშორისო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სს ფინურ საერთაშორისო სკოლას (ს/კ.: 404557234)

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120 მოსწავლით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 17 მარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა